



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №122

2013 წლის 23 აგვისტო

ქ.ქობულეთი

#### ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების წლიური სარგებლობის ქირის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №26-ის მიმდებარედ 946.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №20.42.07.231) 300.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით 5 წლის ვადით განკარგვის მიზნით საწყისი წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №26-ის მიმდებარედ 946.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 300.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი